

**სახელის მრავლობითი რიცხვის
წარმოებისათვის
ტაოურ დიალექტში
FORMING PLURAL
OF NOMINALS IN TAOIAN DIALECT**

მარიკა თედორაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი. საქართველო

Marika Tedoradze

Akaki Tsereteli Kutaisi State University
Kutaisi. Georgia

ABSTRACT

Taoian is one of the Georgian dialects which, at present, functions in the territory of the Republic of Turkey. Therefore, the changes occurring in the speech of Taoian Georgians are interesting.

The proposed paper deals with the instances of distribution of plural formants in nominals and their positions where they occur. For analysis, we have selected published texts that present Taoian dialect and unpublished materials that have been recorded in Tao villages (Yusufeli district, Turkey) during the dialectological expeditions of 2009-2019, preserved at Scientific-Research Center of Kartvelology at Akaki Tsereteli State University.

The analysis of the above-mentioned material reveals that there are a variety of ways to form the plural in nominals in the Taoian dialect. Apart from the -eb suffix typical to the modern Georgian literary language and the dialects, the archaic -n/-t formants are quite productive. Complex formants (-n-eb, -eb-t) also occur. In the dialect under discussion, the plural is expressed also by -oba, and -nar suffixes which perform other functions in Georgian literary language and the dialects. The distribution area of the -nar suffix is quite extensive in the Taoian dialect. It is comparable to the -eb suffix. -nar as a plural formant is uncommon for other dialects, though it seems specific to the Taoian dialect. The forms containing the Turkish -lar suffix rarely occur. The share of Turkish suffixes, compared to the Georgian ones, is insignificant.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, ტაოური დიალექტი, სახელის ფორმაწარმოება.

Keywords: Georgian language, Taoian dialect, formation of nominals.

ტაოური ქართული ენის ერთ-ერთი დიალექტია, რომელიც ამჟამად თურქეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, თურქულ ენობრივ გარემოში ვითარდება. ტაოელ ქართველთა მეტყველებაში დაცულია როგორც სამწიგნობრო ქართულისათვის დამახასიათებელი, ასევე განსხვავებული, დიალექტური ფაქტები. ამ მხრივ საინტერესოა სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება. მრავლობითობის მაწარმოებლად ტაოურში გამოიყენება სუფიქსები: **-ებ, -ნ, -თ, -ნარ, -ობა**. არცთუ იშვიათად გვხვდება ორმაგი (რთული) სუფიქსები: **-ნ-ებ, -ებ-თ(ა)**.

სტატიაში განვიხილავთ სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმანტების დისტრიბუციის შემთხვევებს და მათი გამოვლენის პოზიციებს.

საანალიზოდ ავიღეთ როგორც გამოქვეყნებული ტაოური ტექსტები (ფუტკარაძე 1993; ფაღავა... 2005; ცინცაძე... 2017; ფაღავა... 2020), ასევე გამოუქვეყნებელი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებულ ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში დაცული მასალები.

I. -ებ ყველაზე გავრცელებული სუფიქსია ტაოურში. ჩვეულებრივ, დაერთვის როგორც თანხმოვანზე, ისე ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს. **-ებიან** მრავლობითში **-ე**-ზე დაბოლოებული სახელების ანალოგიით, „ა“-ზე დაბოლოებული სახელის ფუძეშიც თავს იჩენს ორი **ე. აე > ეე** სრული, რეგრესული, კონტაქტური ასიმილაციის წყალობით. მაგ., ზემოთ ჩანს თეები; დეები მყავს; გზეები დიგჭიკეთეს... (ფუტკარაძე 2016: 282). მსგავს პოზიციაში ფონეტიკური ცვლილება შეიძლება უფრო შორს წავიდეს: **აე > ეე > იე**; სირთიდან რომ გადახედავ, ქვიები (ქვაები>ქვეები>ქვიები)... ასეთი ფორმები დასტურდება სამცხურ-ჯავახურში, აჭარულში, იმერხეულში.

ტაოურში **-ებიანი** მრავლობითის ფორმები გვხვდება სხვადასხვა ბრუნვაში. საილუსტრაციო ნიმუშები:

სახელობითი: ჩუენი გოდრები არი ასე მოქსოვილი; არაა დიდრუანი ყანები, აბლი გირმა ყანები, ჩოხი ჭალები; აქა ბიჭები, დენჭები ქუყავან (ექსპედ. მასალა); ჩუენ პატიტუანი ღარჭები ვიყავით (ფუტკარაძე 1993: 173); მიცა ცულები ასკერებ, ღარები გააკეთეს (იქვე: 176); იმათ აქ ქალები უხეთქიან (ფაღავა... 2005: 147); მეცხვარეები ამოვებენ ცხვრეფს (იქვე: 154). აგრები (დაილა) ქონდენ, ედა მალეები: ჭარები, ფურები, პირტყვები... (ფაღავა 2020: 1007).

მოთხრობითი: ქალები ცოტა მანგალ ემესიქმენ და... კაცებმა თელმა იციან; მამაკაცებმა თელმა იციან; სულ წურილებმა, ახალგაზდებმაც დეიწავლონო; დაადვენ ქურდებმა და აართვეს ფული (ექსპედ. მასალა); ჭილათში ღარჭებმა ზოგთ იციან გურჯიჯა (ფუტკარაძე 1993: 171); მველებმაც აღარ იციან, ერთ სიტყვაზე ხდებიან (ფაღავა... 2005: 152).

მიცემითი: ზამთრი მალე ვაჭმევთ, პირტყვებ ვაჭმევდით, მალე, თხებ; მოლებ მოცელავს; კვერცხებ მოვხარშევდით, კვერცხეფსაც შევლებევდით (ექსპედ. მასალა); აქა ჭარებ აჭედებენ (ფუტკარაძე 1993: 170); კაცი არ მყავს ქალებსა, მომიკვდნენ (იქვე: 179); ჩუენ ზროხებ ვინახავთ (ფაღავა... 2005: 151); აქ ერმენებ უცხოვრიან (იქვე: 147); თივას მოვჭრიდით, მალე, ძროხას მუართმიდით (ფაღავა 2020: 1073).

ნათესაობითი (ბრუნვის ნიშანი ხშირად იკარგება ან მხოლოდ ხმოვნითი ნაწილია წარმოდგენილი): ჩუე ჯარებ მეცხვერე ცალკე დევჭირვიდით; ძველი დედებ აშენებული სახლია; თივა მოვთიბე ფურებ ბააზე; ნეკერზე ვიარებოდით, მალე ნეკერზე; ზგანები კითხვა არ იყო აქა.

იშვიათად, პოსტპოზიციური წყობის შემთხვევაში, ნათესაობითი მდგარი მსაზღვრელი სრულად დაირთავს ბრუნვის ფორმანტს: ესენია სახელები ადგილებისა, ძერებისა (ფუტკარაძე 1993: 177).

მოქმედებითი: ვიღეფთ ფაქეთებთა; ხარებით არ მოხნავთ? ხარებით ვიჯებოდით და ახლა მოთორი არი (ექსპედ. მასალა); აქ, ქომობაში რუსებსა მუხებით ქალებითინ ხელები უსიან (ფაღავა 2020: 1007); ბონა ჯორებითა და ვირებით, ცხენებით უზიდა შექერი (იქვე: 1016).

-ებიანი მრავლობითის წოდებითის ფორმა ტექსტებში არ ფიქსირდება, თუმცა მიმართვისას შესაძლებელია გამოვლინდეს.

განხილული მასალა ადასტურებს, რომ -ებ სუფიქსით გაფორმებული სახელები ტაოურში საკმაოდ გავრცელებულია. აქვე საინტერესოა ის ფაქტიც, -ებიანი მრავლობითი წარმოდგენილია ისეთი სახელები, რომელთაც სალიტერატურო ქართულში მრავლობითი არ ეწარმოება. მაგ.:

ყუღლები გათავდა, გავყიდე ბონა (ექსპედ. მასალა); ვაზები ყოფილა, გურჯები მოდიოდეს; აქო ნაწოლი გულისთუნ ჩონი ხოწნები გეგონეო; ძველ ზამანებში (=დროებში) ვინ გაკითხებს დეთიმ?; ჩვენი რახები კიდენ დარჩებოდა; მაშინ ბეური ფულები ქონებიან, ალთუნი ფულები (ფაღავა... 2020: 719).

შდრ. ტაოურში „ჯერ კიდევ სრულად არ გაბატონებულა -ებ-იანი მრავლობითი“ (ფუტკარაძე 2016: 282).

II. ტაოურში -ებიანი მრავლობითის გვერდით საკმაოდ ხშირად გამოიყენება ნარ-თანიანი ფორმები. ნარიანი ფორმა, ჩვეულებრივ, სახელობით ბრუნვას გამოხატავს. მაგალითები:

მალები ქუყავან და, ზროხანი ქუყავან; ბაღენი ჰყავან, ბადიშები; კად ხართა, საყვარელი ხართა; ისტამბოლ ჩასტლამდე ხისიმ-ახრაბანი მყავან; გიზელ არიან, მოკლენი არიან; ჭრელნი, მწუანენი, ო, მრეხნი; ჩემი ღენჭები ნაკითხნი არიან (ექსპედ. მასალა); ზერბებერნი გომოინეს დევნახეთო, – ვიტყვით (ფუტკარაძე 1993: 174); ჩუნა იმ სოფლიდან გამოსულნი ვართა (იქვე: 176); მოხუცი იმღერებდეს (ფაღავა... 2020: 1054); ჩვენ, ხოჯიანნი განაყარები ვართ (იქვე: 990).

-ნ სუფიქსი უმთავრესად დასტურდება ისეთ სიტყვებთან, რომლებიც -ებ სუფიქსს არ დაირთავენ (ნაცვალსახელები, რიცხვითი სახელები). მაგალითად:

ნაცვალსახელებთან: ზოგნი იქ დამჩალა, ზოგნი აქ დამჩალან; ზოგნიც წევნეს იქაობაში; ტყიან ადგილეფჩი რამენი იქნება (ექსპედ. მასალა);

ისინი ჩემნი არ არიან. აგზე რომ იყვენა, იმისნი არიან (ფაღავა... 2005: 165); ზოგნი თენთელა ებნევიან, ზოგნი – თენთენეს (იქვე: 158);

ზოგნი წავლენ სახლისკე (ფუტკარაძე 2016: 282).

ისენი ჩემნი არ არიან. აგზე რომ იყვენა, იმისნი არიან (ფაღავა 2020: 898).

რიცხვით სახელებთან: აქრობაში არიან ახლა სამნი, სამნი ამ თეფეზე იყვნეს, ორნიც იქა და ორნი მუკლიან; ათნი ხართა და ბევრნი ყოფილხართ; ო, ბევრნი არიან გურჯები (ექსპედ. მასალა).

ორნი გახსნიან, ერთიც აცხობს (ფუტკარაძე, 1993: 180); ამათი განაყოფები, მოზობლები ბევრნი არიან (იქვე: 178).

შვილები ბევრნი არიან, ფშვიდნი (ფალავა 2020: 986); ორი, სამნი, მერე მოვკრეფავთ კაცებ ბიჭის თერეფიდან (იქვე: 990).

თანინი მრავლობითის ფორმები გვხვდება მოთხრობითი, მიცემითი ნათესაობითი ბრუნვების ფუნქციით. საილუსტრაციო ნიმუშები:

მოთხრობითი: ზოგთ იციან გურჯიჯა (ექსპედ. მასალა); ქუაბელთ და ბალხელთა, ხვევლთა იციან; წურილთ არ იციან (ფუტკარაძე, 1993: 173); ბევრთ იპოეს ალთუნი (ფალავა... 2020: 979).

მიცემითი: ზრთხათა ცალკე დევჭირდით (ექსპედ. მასალა); უსაქმიან ზოგთ (ფუტკარაძე 1993: 173); გუდას კვევლთა მეზრე არ აქვან (ფალავა 2020: 1051).

ნათესაობითი: ი სარცხლიტბა წასულთა (=წინაპრების) ყოფილა (ექსპედ. მასალა).

III. ტაოელ ქართველთა მეტყველებაში არცთუ იშვიათია რთული (ორმაგი) სუფიქსით (**-ნ-ებ**, **-ებ-თ**) გაფორმებული მრავლობითის ფორმები.

-ნ-ებ დაბოლოებიანი ფორმები, ჩვეულებრივ, სახელობით ბრუნვას გამოხატავენ. მაგალითად:

აქ წამყოფნები ბითთავ გურჯი არიან; და-ზმნები ვართ ერთმანებისა (ფუტკარაძე 1993: 174).

მსგავსი ფორმები ცნობილია რიგ დიალექტებში (გურულში, აჭარულში).

-ებ-თ(ა) დაბოლოებიანი ფორმები მოთხრობით, მიცემით და ნათესაობით ბრუნვებს შეესაბამება. მაგალითად:

მოთხრობითი: ზათი დურქმევნებიან დედეფთა და, ზათინდელ დედეფთა; ძველათ კიდო აქ თქვენი იმ თერეფიდან მოსულეფთ სახელები დურქმევნებიან; უთხარ ქი, გურჯისტანეფთა მომცესო; ემე, რა ქნესა დენჭეფთა? (ექსპედ. მასალა); ორმოც წლის ზემოთკე კაცებთ თელთ იციან (ფუტკარაძე 1993: 173).

მიცემითი: დილაი საქმეზე მუასხამ კაცეფთა; ი თხრისა ყანებთა ბითთაო; მთაში გაყოლეფს მალეფთა; მეცხვერე წასხამს პირტყვეფთა; ქოქებ უთხრით, ქლქეფთ, ქი დიდი შეიქნას; ის უმზირის იმ დათვეფთა, ღორეფთა, მაბანი თხეფთა; დათვეფთა დუგუნი აქუან; ტალებ მევტანდით, ტალებთასაც; დუსობ სარეფთა (ექსპედ. მასალა); ქართველებთა უთქვიან მისთვინ... (ფალავა 2005: 148); სხვა დათვებთ აქვან დუგუნი (ფალავა 2020: 1056); ჭალებთ, ყანებთ ვწყავთა (იქვე: 1050); აქევრ ქართველებთა ქონებია არხავ ჩასლამდე... (იქვე: 1102).

ნათესაობითი: იმასა მალეფთ ნარცხ ვეტყვით; აქევრი ძველი პარხალი ქილისასაც ჩენი, გურჯეფთა არი; იქობაში წვენეს, დენჭეფთ საკითხავა ბააზე (ექსპედ. მასალა); ერმენებთა მეზარი, საფლავი ყოფილა იქა (ფალავა 2020: 1048).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება **-ნ-ებ** დაბოლოების შესახებ. თ. უთურგაიძის აზრით, მსგავს ფორმებში მრ. რიცხვის

გამომხატველია მხოლოდ ბრუნვის ნიშნის წინ მდგომი **-ებ** სუფიქსი, **-ნ** კი ფუძის ნაწილია. დასავლურ დიალექტებში **ზადიმ-ნ-ებ-ი** ტიპის ფორმებში **-ნ** უკვე აღარ იხმარება არსებით სახელთა მრავლობითობის სუფიქსად და ადვილად მოხდებოდა მისი შეხორცება ფუძესთან (უთურგაძე 1986: 110-111).

შდრ., ტ. ფუტკარაძის აზრით, **-ნებ** ერთიანი სუფიქსია, რომელიც მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ რთულ სუფიქსად გვევლინება: „მძანები“ ტიპის მაგალითების მხოლოდობითი რიცხვის ფორმაა „ძმა“, ნ-ს წარმომავლობისდა მიუხედავად, ეს უფუნქციო ბგერა ფუძეში გადასულად ვერ მიიჩნევა, იგი ერწყმის მომდევნო ფორმანტს; ვლებულობთ **ნ+ებ** რთულ სუფიქსს, რომელიც ერთიან ფორმანტადაა გააზრებული და ანალოგიით სხვა სიტყვებთანაც დასტურდება“ (ფუტკარაძე 1986: 113).

ვფიქრობთ, **-ნებ** დაბოლოების მსგავსად, ერთიან, რთულ ფორმანტად უნდა იქნეს განხილული **-ებთ**.

V. ტაოურში მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლად საკმაოდ ხშირად გვევლინება -ნარ სუფიქსი. შდრ. -ნარ ფორმანტი ქართულში უპირატესად მცენარეთა სახელების ფუძეს დაერთვის და გამოხატავს კრებითობას, ერთობლიობას: ნამძ-ნარი, ფიჭვ-ნარი, წაბლ-ნარი... იშვიათად -ნარ გამოხატავს ნიადაგის თვისებას: თიხ-ნარი, ქვიშ-ნარი... ამოსავალი მნიშვნელობა აქაც არის რაიმეს (თიხის, ქვიშის...) კრებითობა, ერთობლიობა.

ტაოურში **-ნარ** (/ნალ) სუფიქსი დაერთვის როგორც ხმოვანზე, ისე თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს, უმთავრესად ერთ- ან ორმარცვლიან ფუძეებს.

-ნარ სუფიქსი ხშირად გამოვლინდება ხმოვანფუძიან სახელებთან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში, განსხვავებით თანხმოვანფუძიანი სახელებისაგან, **-ნარ** სუფიქსის წინ, ჩვეულებრივ, **ვ** ბგერაა წარმოდგენილი. განვიხილოთ ხმოვანფუძიან სახელთა წარმოების შემთხვევები ცალ-ცალკე:

ე ხმოვანფუძიანი სახელები:

ხევნარ (=ხეები) უნდა მორწყა, ქი გეიზარდოს; ბიჭი მუენდისია, ხევნარ მუენდისი, ხევნარისი მუენდისი; იმ ხევნარ ლეწვენ; იმაზე დახიძრავ ხევნარსა, დახერხავ; ჩუენი ტყევნარდი (=ტყეები) აქა გაყოფილია; იმ ტყევნარსაც ჩემეცტანდით; გაღმი ღელევნარდი (=ღელეები) არი; ასე ჩამოვყრით ღელევნარში, მაქინაზე ავკიდავთ; ზამთრი დიდი ემენი, ღამევნარდი (=ღამეები) არი, ზღაფულიც აბლი ღამევნარდი არი, მალე გათენდება; ზამთრი ღამევნარდი დიდრუანი, ჰამა ზღაფული ღამევნარდი წრილია, საქმე არ იჯონნება; კილდევენარდი (=კლდეები) რამ იყო, კილდევენარი; თქვენ თვევენარდი (=თვეებს) ითლითა? ვაკვენარდი (ტოპონიმი) (ექსპედ. მასალა).

წუხელი ითოვლა ფენა, გაათეთრა ხევნარდი (=ხეები) (ფუტკარაძე 1993: 171); იქრობაში ქილიავი, ტყიმალი, კაკალა (კაკლი ჰევნარდი იქნება) არი, ჰევი, ჰევნარდი – ვიტყვით (იქვე: 173); ჩუენი კლდევენარდი დუნია (იქვე: 170); პარა ჰევისკე ჩომოსლიხან ზემოდამ ქუები აგორდა კილდევენარდი (იქვე: 174).

დღისი ტყვენარში დევმალოვდითო (ფაღავა... 2005: 147).

ხუთმოციგ იქნებოდეს, ტყვენარში იქნებოდეს... (ცინცაძე... 2017: 194); ყვერვენარდი (=ყორეები) აშენეს, ყორვენარდი მთავრობამ აშენეს (იქვე: 206).

აქ ბევრი ხევნარი ყოფილა, ჩიტი ვერ გაძრებოდა (ფალავა... 2020: 1102); ე დიდი მაქინა ხევნარი თახთებ ვიჯებით (იქვე: 1078); წინაზე ბევრი ტყვენარი ყოფილა (იქვე: 1044); ძველი დღევნარი მომაგონეთ! (იქვე: 1033); კვენარი – ტყეა, ორმანი... ვაკვენარი... (იქვე: 1044); ბეჩი კილდევნარში წყალი მუყყვანია სავრიათ (იქვე: 1095); თეფვენარია აქა, თქვენი სოფლის თეფვენარი ჩანს (იქვე: 720).

ა ხმოვანფუძიანი სახელები:

თევნარში აღარ მიდიან; ბოძნა თევნარში ვიყაით; თევნარში ბევრი ვასმიდით (ექსპედ. მასალა);

ზემოთკე გზევენარი ხარახურაია, გონჯია, ცუდი (ფუტკარაძე 1993: 170); მაშინ ეს მანქანის გზევენარი არ იყო (იქვე: 173). ამ გზევენარმა ამართვა სული (იქვე: 172); უფრო ბეთი გზევენარზე რომ ჩეოდოდით, ცხენი დამ ჩამომსმიდა (იქვე: 173).

თევნარი ბერი თაა; ახლა გზევენარი მოვდა და გავაგდევით (ფალავა... 2005: 164).

ბიჭი ერთ თანე – ქეფჩე გზევენარ იჯება, გზევენარ აშენებ (ცინცაძე... 2017: 217); აქ გზევენარ ვაკეთებ (იქვე: 200).

ჰად არიან ჩვენი ქართველები იცი? თევნარში (ფალავა... 2020: 1102); გზევენარი კადა, ბეჩი არ არი (იქვე: 1065).

ო ხმოვანფუძიანი სახელები:

ლაკატანა, დითქეთი, ახლოვნარი, ისაც ტყვენარ ქექონდა ჩვენა (ექსპედ. მასალა).

კალოვნარი (=კალოები) ახლა ადგა (ფალავა... 2020: 1049); იქეთ კალოვნარია – ვარებ ვამუშავებდით (იქვე: 720).

უ ხმოვანფუძიანი სახელები:

ზამთარი თოვლსა რუვენალი (=რუები) უუვსია მიწით (ფუტკარაძე 1993: 176).

თანხმოვნით დასრულებულ ფუძეებთან **-ნარ** შედარებით იშვიათად გვხვდება. მაგ.:

ყოლ კაცისი კარნალი (=კარები) ღია არი აქ; კარნალში იარებიან, ნეხვ იჯებიან; ქობ-კარნალებში მოდიან ღამით (ექსპედ. მასალა); ქართული კარნალი გეელო (ფუტკარაძე 1993: 170).

-ნარ სუფიქსი ტოპონიმთა მაწარმოებლადაც დასტურდება. მაგალითად:

დოდნარი – მთის სახელი, გურდნალი – ტყის სახელი (სოფ. ხევაი); ნევენარი/ლევენარი (სოფ. ქვაბაი) (ექსპედ. მასალა).

ადგილის სახელებია: წვერინალი (შდრ. წვერნალი) (ცინცაძე... 2017: 233); ნევენარი, კორდნალი (იქვე: 227).

იქეთ: ვანათი, ჩაკიდული, ბანნალი (/ბალნარი), ტუბათი (ფალავა... 2020: 1063).

სამეცნიერო ლიტერატურაში **-ნარ** სუფიქსის შედგენილობა, წარმომავლობა სხვადასხვაგვარად არის ახსნილი.

ნ. მარი **ნ-არ** სუფიქსი მრავლობითობის მაწარმოებელია, სადაც **-ნ** „ქართველსა“, ხოლო **-არ** – სვანურში დაცული მრავლობითობის ნიშანი (Mapp 1915: 937).

არნ. ჩიქობავას მოსაზრებით, „-ნ მრავლობითობის სუფიქსია, -არ კი მეორე სუფიქსი, რომელიც თავისი მნიშვნელობით შეიძლება -ონ ჭანურისათვის გაგვეთანაბრებინა“ (ჩიქობავა 1926: 308-309).

ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონის მიხედვით, -ნარ რთული შედგენილობისაა: -ნ-არ, სადაც -ნ მრავლობითობის გამომხატველი სუფიქსია, -არ – კრებითობისა (ჯორბენაძე... 1988: 318).

სპეციალურ ლიტერატურაში გაანალიზებულია -ნარ სუფიქსიან ფორმათა ფუნქცია. შ. ფუტყარაძის აზრით, „ტაოს ქართულში ამ სუფიქსს შეძენილი აქვს სხვა ფუნქციაც, კერძოდ, გამოხატავს მრავლობითობას“ (ფუტყარაძე 2016: 302-303).

კლდეწარი... ტიპის ფორმებში „კრებითობის ნარ სუფიქსი გამოყენებულია ქონების იან სუფიქსის ან მრავლობითობის ებ ფორმანტის ნაცვლად“ (ფაღავა... 2017: 188).

შეიძლება ითქვას, რომ -ნარ პროდუქტიული სუფიქსია ტაოურში და ის სახელის მრავლობით რიცხვის მაწარმოებლად გამოიყენება.

VI. ტაოურში, ქართული დიალექტების მსგავსად, მრავლობითობის აღსანიშნავად დაჩნდება -ობა სუფიქსი, რომელიც ქართულში აბსტრაქტულ სახელთა (ზოგადი ცნების) გამომხატველია. მაგ.:

ნადირობა (=ნადირები) იქნება ახლა; სოფლობა (=სოფლები) დეიფლატა ამ გაზაფხული; ქალობა (=ქალები) მოყრილან ოზოში (ფუტყარაძე 2016: 283).

VII. ძალიან იშვიათად ტაოელ ქართველთა მეტყველებაში თავს იჩენს -ლარ (თურქ. -lar) სუფიქსიანი ფორმები, რომელიც -ებ ფორმანტის ბადალია. მაგ.:

ბინალარი (=ბინებს) ვაშენებდი (ფაღავა... 2020: 981); არ იჭირავს ერთმანეთი გურჯილარ (=გურჯები) (1022).

-ლარ გვხვდება გვხვდება ტოპონიმებში: პაპამლარი (=პაპაშები), ფევზალარი (=ფევზები/ფევზიანნი) – სოფ. ბალხის უბნები (ექსპედ. მასალა); მინდორლარ (=მინდვრები) - ყიშლა არჯევანის ხეობაში (ფაღავა... 2020: 1067); ქოთანალარ (//ქოთანები) (1103).

-ლარ სუფიქსიანი ფორმები თურქული ენის გავლენის შედეგად არის გაჩენილი.

განხილული მასალიდან ჩანს, რომ ტაოურ დიალექტში სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება საკმაოდ მრავალფეროვანია. გარდა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისა და კილოებისათვის დამახასიათებელი -ებ სუფიქსისა, საკმაოდ პროდუქტიულია არქაული -ნ/-თ ფორმანტები. გვხვდება რთული მაწარმოებლებიც (-ნ-ებ, -ებ-თ). საანალიზო დიალექტში მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად გვევლინება ასევე -ნარ, -ობა სუფიქსები, რომლებიც ქართულ სამწიგნობრო ენასა და კილოებში სხვა ფუნქციით გამოიყენება. -ნარ სუფიქსის გავრცელების არე ტაოურში საკმაოდ დიდია. ის -ებ სუფიქსის ბადალია. -ნარ მრავლობითის მაწარმოებლად სხვა დიალექტებისთვის უცხოა, ის სპეციფიკური ჩანს ტაოური მეტყველებისათვის. იშვიათად ვლინდება თურქული -ლარ სუფიქსიანი ფორმები. მათი ხვედრითი წილი ქართულ სუფიქსებთან შედარებით უმნიშვნელოა.

დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

- უთურგაძე 1986:** უთურგაძე თ., ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი. თბილისი, 1986.
- ფალავა... 2005:** ფალავა მ., ცინცაძე მ., მაკარიძე ე., დიასამიძე რ., თანდილავა ლ., ტაოური მეტყველების ნიმუშები. ბათუმის უნივერსიტეტის კრებული, IV, ბათუმი, 2005.
- ფალავა... 2017:** ფალავა მ., ცეცხლაძე ნ., სამხრული კილოები ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები. თბილისი, 2017.
- ფალავა... 2020:** ფალავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., ჩოხარაძე მ., შიოშვილი თ., ხალვაში რ., მგელაძე ნ., შაშიკიძე ზ., მგელაძე მ., ჩხვიმიანი ჯ., კარალიძე ჯ. ტაო. ბათუმი, 2020.
- ფუტკარაძე 1986:** ფუტკარაძე ტ., სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიალექტთა (აჭარულის, გურულის, მეცხურ-ჯავახურის, იმერხელის) მიხედვით. მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), #3. თბილისი, 1986.
- ფუტკარაძე... 2006:** ფუტკარაძე ტ., მიქაუტაძე მ., იმნიეთის ტოპონიმის კა. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა, X, ქუთაისი, 2006.
- ფუტკარაძე 1993:** ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული. წიგნი პირველი, ბათუმი, 1993.
- ფუტკარაძე 2016:** ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული. წიგნი მეორე, ბათუმი, 2016.
- ჩიქობავა 1926:** ჩიქობავა არნ., -ონ სუფიქსი მეგრულში. თფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. 6, 1926.
- ცინცაძე... 2017:** ცინცაძე მ., ფალავა მ., ბარამიძე მ., ტაოური ტექსტები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული, XI, ბათუმი, 2017.
- ჯორბენაძე... 1988:** ჯორბენაძე ბ., კობაძე მ., ბერიძე მ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი. თბილისი, 1988.
- ექსპედიციის მასალა:** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ ტაოს სოფლებში 2007-2019 წლებში მოწყობილი დიალექტური ექსპედიციების ფარგლებში ჩაწერილი დიალექტური ტექსტები (მასალა ინახება ცენტრში).
- Март 1915:** Март Н., Яфетические названия деревьев и растений. Изв. АН, #10, Санкт-Петербург, 1915.